18/12/2024

MES 0 24 0001627337

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქალაქი თბილისი
სხდომის დაწყების დრო: 14:00 საათი
დასრულების დრო: 16:00 საათი
საბჭოს თავმჯდომარე: ზურაბ ორჯონიკიძე
საბჭოს მდივანი: დავით ლეშკაშელი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის, გამოყენებით **2024 წლის 06 დეკემბერს**.
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

1. ზურაბ ორჯონიკიძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი) - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
2. დავით ლეშკაშელი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
3. მამუკა ხუსკივაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პრფესორი;
4. ლევან მიდოდაშვილი - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელმძღვანელი, პროფესორი;
5. სერგო ჭელიძე - შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ს პროფესორი;
6. გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევებისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
7. კონსტანტინე სირბილაძე - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
8. ნინო ჩინჩალაძე - ა(ა)იპ - ფონდის საერთაშორისო განათლების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი;
9. ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი- სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი;
10. ივანე ჯაგოდნიშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
11. ემილ ავდალიანი - შპს ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი;

*12. **სალომე კუჭუხიძე** - შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლისა და სახელმწიფო მმართველობის სკოლის დეკანი;*

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) მო წვეული წევრები:

1. გია ლობჟანიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი, მედიცინის ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი, ზოგადი ქირურგიის კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი;
2. ჯილდა ჭეიშვილი - საქართველოს ეპიდემიოლოგთა და ინფექციის კონტროლის სპეციალისტთა ასოციაციის საბჭოს წევრი;
3. ეკა ბოჭორიშვილი - სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს სამედიცინო საქმიანობის რეგულირების დეპარტამენტის სახელმწიფო პროგრამების რევიზიის სამმართველოს უფროსი;
4. ნინო გაგუა - შპს "პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის" სტუდენტი;
5. ეკა ეკალაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
6. კახაბერ ვანიშვილი - შპს "მედ-დიაგნოსტიკის" სამედიცინო ცენტრის დირექტორი;
7. ზვიად კირტავა - შპს "შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის" პროფესორი;
8. ლევან რატიანი - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის გენერალური დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ანესთეზიოლოგიისა და რეანიმატოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;
9. ივანე ჩხაიძე - კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების,შეფასებისა და დანერგვის ეროვნული საბჭოს წევრი, მ იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს სამედიცინო დირექტორი,სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
10. ხათუნა ზალდასატანიშვილი - სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მომსახურების დეპარტამენტის პროფესიული რეგულირების სამმართველოს უფროსი;
11. დავით კობეშავიძე - შპს "იმედის კლინიკის" დირექტორი;
12. ნათია სხვიტარიძე - სსიპ - ლევან საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის მრჩეველი გლობალური ჯანმრთელობის საკითხებში;
13. ნინო შარიქაძე - შპს "ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის" კლინიკური ონკოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) წარმომა დგენლები:

*1. **ქეთევან პავლიაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;*
*2. **თათია მამრიკიშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;*

*3. **ლალი ოდიშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი.*

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
1) კახა შენგელია - რექტორი;
2) გიორგი მახარაშვილი - პრორექტორი ადმინისტრაციის დარგში;
3) მარიკა ნიკოლაიშვილი - პრორექტორი ფინანსების დარგში;
4) სალომე კუჭუხიძე - პრორექტორი სასწავლო დარგში;
5) ნინო ჯოჯუჯა - პრორექტორი ხარისხის დარგში;
6) თეა კბილცეცხლაშვილი - პრორექტორი კვლევის დარგში;
7) ანა გვრიტიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
8) დავით ცირამუა - სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
1) ზურაბ ხონელიძე - რექტორი;
2) დავით ჯალაღონია - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;
3) ნინო თოფურიძე - წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი;
4) რომეო გალდავა - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
5) მარინე ხუბუა - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
6) ლია ახალაძე - სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
7) მარიამ მირესაშვილი - სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
8) ინდირა ძაგანია - საერთაშორისო ურთიერთობებისა და კულტურატაშორისი კავშირების დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
9) სოფიო გვარამია - იურიდიული სამსახურის უფროსი;
10) ნესტან კეკელია - საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და ფარმაციის ფაკულტეტის დეკანი;
11) ირმა დიხამინჯია - ბიზნესისა და სოცისლურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;
12) ვეფხვია გვარამია - სამართლისა და დიპლომატიის ფაკულტეტის დეკანი;
13) მარინა ტურავა - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;
14) თამარ შინჯიაშვილი - განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;
15) მარინა ზარქუა - საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და ფარმაციის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
16) კახი კოპალიანი - ბიზნესისა და სოცისლურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
17) ასმათ გუგავა - სამართლისა და დიპლომატიის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
18) ასმათ გუგავა - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
19) ლევან ჯინჯიხაძე - განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპ ერტები):

ხათუნა საგანელიძე I საკითხი
ია ნაცვლიშვილი I საკითხი
ნინო ფარსადანიშვილი I საკითხი
ვახტანგ ბეროშვილი I საკითხი
გიორგი ფარეშიშვილი I საკითხი
თამარ ძველაია II საკითხი
ილია ბოცვაძე II საკითხი
გაიოზ ფარცხალაძე II საკითხი
მაგდა მემანიშვილი II საკითხი
სოფიო ბაზაძე II საკითხი
ბექა ბენდელიანიII საკითხი

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 14:00 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ზურაბ ორჯონიკიძემ.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიით შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

1. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს/მ ოწვეული საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის და მოწვეული საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს/მოწვეული საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს/მოწვეული საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **კი**

აღნიშნულ საკითხე თვითაცილება განაცხადეს ბატონმა ზვიად კირტავამ და ქალბატონმა სალომე კუჭუხიძემ დაწესებულებასთან არსებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.
საერთაშორისო ექსპერტი, მეთიუ კიჩინგი (Matthew Kitching), მიესალმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი დიდ ყურადღებას უთმობს ინგლისური ენის დონის განვითარებას. შესაბამისად, უნივერსიტეტში ინგლისურენოვანი პროგრამები უხვად არის წარმოდგენილი. მისი თქმით, დაწესებულებას აქვს კარგი სიმულაციები და ფინანსური მხარდაჭერა სტუდენტებისთვის, რომლის ფონზე კარგად ხდება სადოქტორო ხელმძღვანელობა. დაწესებულება ცდილობს, რომ ჰყავდეს საერთაშორისო პარტნიორები და შესთავაზოს სტუდენტებს ორმაგი ხარისხის დიპლომი. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს აქვს პერსონალისთვის ფინანსური მხარდაჭერა. გარდა ამისა, დაწესებულებას სტუდენტების პროგრამებზე ჩასარიცხად აქვს გარკვეული თანხობრივი შეღავათები. მთლიანობაში უნივერსიტეტმა ექსპერტთა ჯგუფზე პოზიტიური შთაბეჭდილება დატოვა. ექსპერტების გადაწყვეტილება განსხვავებული იქნებოდა რომ არა სტუდენტების მზარდი რაოდენობა. დაწესებულება გეგმავს სტუდენტთა მიღების რაოდენობის კვოტის გაზრდას. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტს განსხვავებული კუთხით შეხედა, რომლის დროსაც გამოიკვეთა გასაუმჯობესებელი მხარეები, კერძოდ, უსდ-მ შესაბამისი ინფრასტრუქტურით უნდა უზრუნველყოს დაწესებულება. ექსპერტებმა წინა ავტორიზაციის დოკუმენტებსაც გადახედეს და დაადგინეს, რომ წინა წარმოების დროსაც ეს მიმართულება ექსპერტების მიერ შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისია მოთხოვნებთან“. მას სურდა კომენტარი გაეკეთებინა დაწესებულების მიერ გაკეთებულ იმ განცხადებასთან დაკავშირებით, რომ ექსპერტებმა არ მოითხოვეს დოკუმენტები ადგილზე ვიზიტის დროს. მისი თქმით, დაწესებულებას ჰქონდა დიდი დრო იმისათვის, რომ წარმოედგინა შესაბამისი მტკიცებულებები დოკუმენტების სახით. როდესაც ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა ბიბლიოთეკის წარმომადგენლებს, ისინი გარკვეული წნეხის ქვეშ იყვნენ იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ დაწესებულება ზრდიდა სტუდენტთა რაოდენობის მიღების კვოტას. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა უკეთესად უნდა დაგეგმოს საკუთარი სტრატეგიული გეგმა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი, კახა შენგელია, მიესალმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა როგორც ექსპერტთა ჯგუფს, ისე ცენტრის თანამშრომლებს გაწეული შრომისთვის. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტმა, გიორგი მახარაშვილმა განაცხადა, რომ ექსპერტების მიერ გაცემული იყო ძალიან მცირე რეკომენდაციები, რომლებიც ძირითადად ეხებოდა სტუდენტთა კვოტას. რეკომენდაციების მცირე რაოდენობა ხაზს უსვამს იმას, რომ უნივერსიტეტი დღემდე ფუნქციონირებს ძალიან მაღალ დონეზე, ავტორიზაცია-აკრედიტაციის სტანდარტების დაცვით. ექსპერტები სკეპტიკურად უყურებდნენ დაწესებულებაში მოსვლისთანავე უნივერსიტეტის მიერ გაცხადებულ მოთხოვნას, რომელიც სტუდენტთა კვოტის გაზრდას ეხებოდა. მათ ჯერ არ ჰქონდათ შესწავლილი დაწესებულების შენობა, მატერიალური ტექნიკური ბაზა, ინვენტარი და ლაბორატორიები, რომ უკვე მსგავსი დამოკიდებულებით იყვნენ განწყობილნი. მისი თქმით, 1.2 ქვესტანდარტში მოცემული რეკომენდაციები შინაარსობრივად ჰგავს ერთმანეთს. ამ სტანდარტში მოცემული მეორე რეკომენდაცია სრულად ფარავს პირველ რეკომენდაციას. შესაბამისად, დაწესებულებისთვის გაუგებარია თუ რატომ გაიცა ორი რეკომენდაცია მაშინ, როდესაც ერთი რეკომენდაცია ამბობს ორივეს სათქმელს. დაწესებულებას შემუშავებული აქვს როგორც 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა, ისე 3 წლიანი სტრატეგიული გეგმა. ასევე დეპარტამენტების, სამსახურების, სკოლების დონეზე არსებობს ვიწროდ ჩაშლილი სამოქმედო გეგმები, რომლებიც მიღწევადია ინდიკატორებით. ექსპერტთა ვიზიტის დროს ეს ნაწილი კითხვის ნიშნის ქვეშ არ დამდგარა, ამ მიმართულებით არ გამჩდარა კითხვები. შესაბამისად, ეს რეკომენდაცია ამოსაღებია, რადგან დაწესებულება ვერ მიხვდებოდა იმას თუ ექსპერტებს ამ მიმართულებით კითხვები დაებადებოდათ. ექსპერტები რეკომენდაციაში ითხოვენ გარკვეული გეგმის წარმოდგენას, რომელიც არ საჭიროებს ერთ წელზე მეტ დროს. შესაბამისად, საქართველოში მოქმედი ავტორიზაციის სტანდარტების მიხედვით ის, რაც ერთ წელზე მეტს არ საჭიროებს, არის მეტწილად და არა ნაწილობრივი შესაბამისობა მოთხოვნებთან. მისი თქმით, ავტორიზაციის საბჭო კარგი იქნებოდა თუ გაითვალისწინებდა ამ საკითხს. 2.2 ქვესტანდარტში მოცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულებაში არსებობს კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც მოიაზრებს ყველა კომპონენტს, რომელიც მოთხოვნილია როგორც ხარისხის ცენტრის მიერ შექმნილი სახელმძღვანელოთი, ისე აკრედიტაცია-ავტორიზაციის სტანდარტებით. ექსპერტების მიერ გადამისამართება საერთაშორისო პრაქტიკაზე, რომელიც უნდა გამოიყენოს ინსტიტუციამ, არ არის რელევანტური. ექსპერტებმა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეს 8 000 კონტინგენტის მიმართულებით დამატებითი სივრცეები, თუმცა შენიშვნა არ მოუციათ აკადემიური-ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობის მიმართ. აღნიშნული სივრცეები, რომლებიც დაწესებულებაში არსებობს უნივერსიტეტის მეთოდოლოგიის გამოთვლის მიხედვით საკმარისია. დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტაცია, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ არსებული სტუდენტების რაოდენობიდან ფართი ითვისებდა 80%-ს. ექსპერტები ხაზს უსვამენ იმას, რომ დაწესებულებაში მაღალ დონეზე ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და დაცულია „PDCA“ ციკლი. 3.1 სტანდარტში მოცემულ რეკომენდაციის შესახებ განაცხადა, რომ დაწესებულებაში ხდება სისტემატურად სილაბუსების გადახედვა, კონტროლი და განვითარება. ასევე ამას ექსპერტებიც აღნიშნავენ დასკვნაში. შესაბამისად, არგუმენტირებულ პოზიციაში ამის დასადასტურებლად დაწესებულებას ექსპერტთა ჯგუფის ციტატები აქვს მოყვანილი. ავტორიზაცია და აკრედიტაციის სტანდარტით არ არის დადგენილი კონკრეტული ვადა სილაბუსების გადახედვის. გარდა ამისა, ამას არც საერთაშორისო სტანდარტი ითვალისწინებს. 3.2 სტანდარტში მოცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ დასკვნითი პროექტის აღწერილობით ნაწილში არ არის საუბარი მოცემული რეკომენდაციის შინაარსსა და იმაზე, თუ რის საფუძველზე გაკეთდა მოცემული დასკვნა ექსპერტების მიერ. ექსპერტები ხაზს

უსვამენ იმას, რომ ყველა პროგრამა სრულ შესაბამისობაშია დარგის მოთხოვნებთან და პროგრამები არის აკრედიტებული. მისი თქმით, უნივერსიტეტის მხრიდან პერსონალის მიმართ განხორციელებული ღონისძიებები მაღალ დონეზე შეფასდა. დაწესებულებას პრაქტიკის მიმართულებით აქვს მკვეთრად გაწერილი გაიდლაინები, სილაბუსები, მექანიზმები და ცალკე შექმნილი დოკუმენტი, რომლითაც კონტროლდება უნივერსიტეტში პრაქტიკის კომპონენტი სამართლიანი და გამჭვირვალე შეფასების პრინციპით. შესაბამისად, იმ ფაქტის, რომ ერთ-ერთი სტუდენტის მხრიდან მოხდა ინფორმაციის გაჟღერება, რომელიც ეხებოდა იმას, რომ „მე ერთ-ერთი პრაქტიკის კომპონენტის შესრულების დროს მოვხვდი ჩემი ახლობლის კომპანიაში“, განზოგადება არ უნდა მომხდარიყო. გარდა ამისა, ეს რეკომენდაციის გაცემის საფუძველიც არ უნდა ყოფილიყო. 4.1 სტანდარტში მოცემულ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული, აფილირებული, აკადემიური და მოწვეული პერსონალი უნივერსიტეტში, რა თქმა უნდა, დასაქმებულია ახალი მენეჯმენტის მიერ შემოტანილი ხელშეკრულებების საფუძველზე, რომლებიც აკმაყოფილებენ საქართველოს სამოქალაქო და შრომის კოდექსით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას. უნივერსიტეტმა კეთილი ნება გამოიჩინა და შექმნა ახალი ტიპის ხელშეკრულებები, რომლებიც ერთგვარი გაუმჯობესებული ვარიანტია წინა ხელშეკრულებებისა აფილირებული პერსონალისთვის. რასაკვირველია, ამ ყველაფრის გააზრებას პერსონალის მხრიდან დრო სჭირდება. დაწესებულება არის მაქსიმალურად ლოიალური და მოქნილი, რადგან იმ პერსონალს, რომელსაც ახალი ტიპის ხელშეკრულებაზე გადასვლა არ უნდა, ეძლევა საშუალება ძველი ხელშეკრულების შენარჩუნების, რა თქმა უნდა, ვადის გასვლამდე. ამრიგად, დაწესებულება არ ფიქრობს, რომ ამ მიმართულებით უნდა გაცემულიყო რეკომენდაცია. მან აღნიშნა, რომ ერთ-ერთი რეკომენდაცია გაცემული იყო მედიცინის მიმართულებით, რომელიც ეხებოდა არა კლინიცისტის მიერ კლინიკური საგნის წაკითხვას. მისი თქმით, დაწესებულება იზიარებს მოცემულ რეკომენდაციას, თუმცა პროგრამაში არცერთი არა კლინიცისტი კლინიკურ საგანს არ კითხულობს. ეს არის ფაქტობრივი უზუსტობა. შესაბამისად, ეს რეკომენდაცია ამოღებული უნდა იქნეს. გიორგი მახარაშვილმა 4.2 სტანდარტში მოცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ დაწესებულება პერსონალის მეთოდოლოგიის დაგეგმვის დროს იყენებს როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ პრაქტიკას. ექსპერტები არ აკონკრეტებენ თუ რომელი საერთაშორისო პრაქტიკა უნდა გამოიყენოს უნივერსიტეტმა. ეს არის ზოგადი რეკომენდაცია, რომელიც ყველა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას მოერგება. შესაბამისად, ეს შეიძლება იყოს რჩევა და არა რეკომენდაცია. 5.1 კომპონენტში მოცემულ რეკომენდაციასთან მიმართებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს აქვს ომბუდსმენის ინსტიტუტი. ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტი მსგავსი ინსტიტუტის შექმნას უნივერსიტეტს არ ავალდებულებს. შესაბამისად, მისი შექმნა იყო მხოლოდ დაწესებულების სურვილი სტუდენტების უფლებების უფრო მეტად დაცვის მიზნით. მან აღნიშნა, რომ რეკომენდაცია გაიცემა მხოლოდ დარღვეული სტანდარტის აღსადგენად. ომბუდსმენის არსებობა-არარსებობა არ იწვევს სტანდარტის დარღვევას. შესაბამისად, ექსპერტების გამოთქმული მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით შეიძლება იყოს რჩევა და არა რეკომენდაცია. მან აღნიშნა, რომ მე-6 სტანდარტის მიმართ არ გაცემულა რეკომენდაცია, რაც იმას ნიშნავს, რომ უნივერსიტეტი თავიდან ბოლომდე კვლევაზეა ორიენტირებული და ამ მიმართულების განვითარებისათვის ძალიან ბევრს აკეთებს. 7.1 სტანდარტთან დაკავშირებით განმარტა, რომ დაწესებულებაში ამ ეტაპზე არსებობს 14 ლაბორატორია, მათ შორის, 8 კომპიუტერული, 2 მედია, 2 მედიცინის და 2 არქიტექტურის ლაბორატორია. ასევე მიმდინარეობის 2 ლაბორატორიის დამატება მედიცინის მიმართულებით, რომლის შესახებ ინფორმაცია მომავალში მოცემული იქნება აკრედიტაციის ანგარიშში. ამ მიმართულებით დაწესებულების ბიუჯეტში გამოყოფილია 1 000 000 ლარზე მეტი, რომლის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი იყო არგუმენტირებულ პოზიციაში. ასევე რეკომენდაცია ეხებოდა ერთი ოთახის ბუნებრივ განათებას. მისი თქმით, შრომის უსაფრთხოებისა და ავტორიზაციის სტანდარტები არ განსაზღვრავენ ბუნებრივი განათების დონის პროცენტულობას. ამ ოთახს აქვს ფანჯრები. გარდა ამისა, ის უზრუნველყოფილია

კონდიცირებითა და გათბობა-გაგრილების სისტემით. ასევე როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური ვენტილაციით. შესაბამისად, ამ რეკომენდაციას უნივერსიტეტი არ იზიარებს. 7.2 სტანდარტთა დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულების უმეტესი აფილირებული პროფესორი სარგებლობს პირადი სამუშაო სივრცით. გარდა ამისა, დასკვნაში აღნიშნულია, რომ სტუდენტები უპრობლემოდ იღებენ კონსულტაციებს. შესაბამისად, უნივერსიტეტისთვის ბუნდოვანია ამ რეკომენდაციის არსი. ფინანსების მიმართულებით პრორექტორმა, მარიკა ნიკოლაიშვილმა, 7.4 სტანდარტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა არა უნივერსიტეტის, არამედ სამედიცინო პროგრამის ბიუჯეტი. ეს უკანასკნელი ითვალისწინებს ერთ ჯგუფზე პროგრამის მომგებიანობას და მასში არ არის გათვალისწინებული იმის შესახებ ინფორმაცია თუ უნივერსიტეტი რას გეგმავს ინვესტიციის გასავითარებლად. ეს ინფორმაცია მოცემულია 7 წლიანი პროგნოზის დოკუმენტში, რომელიც ექსპერტთა ჯგუფს არ გამოუთხოვია ვიზიტის დროს. შესაბამისად, ეს რეკომენდაცია არ არის რელევანტური, რაც იმას ნიშნავს, რომ 7.4 სტანდარტი სრულად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ განაცხადა, რომ ის იყო მედიცინის დარგობრივი საბჭოს ხელმძღვანელი და როდესაც იხილებოდა ისეთი ინსტიტუციის საკითხი, რომელიც ახორციელებდა მედიცინას, ყოველთვის ამოწმებდა გაცემული რეკომენდაციების რელევანტურობის საკითხს მედიცინის დარგობრივი სტანდარტების მოთხოვნებთან. მან აღნიშნა, რომ საქართველოში არსებული მედიცინის სტანდარტები ითვალისწინებ იმას თუ რა მოეთხოვება საბაზისო მედიცინის და კლინიკური დისციპლინების წამყვან პროფესორებს. ეს პროგრამა ეხება არა საბაზისო, არამედ კლინიკური დისციპლინების სწავლებას. „WFME“-ის მოთხოვნით ყველა ქვეყანამ თავისი კონტექსტიდან გამომდინარე უნდა შეადგინოს საკუთარი დარგობრივი სტანდარტი. შესაბამისად, კარგი იქნებოდა თუ ამ საკითხს გაითვალისწინებდა ექსპერტთა ჯგუფი. საბჭოს წევრმა, სერგო ჭელიძემ, კითხვით მიმართა ექსპერტებს. მისი თქმით, ერთ-ერთი რეკომენდაცია გაცემული იყო სილაბუსების წელიწადში ერთხელ განახლებასთან დაკავშირებით. მას აინტერესებდა, რამდენ ხანში ანახლებდა აკადემიური პერსონალი სილაბუსებს. ასევე ექსპერტებმა მიიღეს თუ არა პასუხი სტუდენტებისგან, რომ ვერ იღებდნენ უკუკავშირს ცალკეულ შეფასებებთან დაკავშირებით. საბჭოს წევრმა, ხათუნა საგანელიძემ აღნიშნა, რომ ლექტორებთან დაკავშირებული კომენტარი გამოწვეული იყო მათთან გასაუბრების დროს. ერთ-ერთმა ლექტორმა აღნიშნა, რომ რეზიდენტურას ახლა ამთავრებდა და კითხულობდა კლინიკურ საგანს. ეს იყო ინტერვიუს დროს გამოვლენილი გარემოება. ასევე ლექტორებმა აღნიშნეს, რომ ადრე ჰქონდათ ოთახები კონსულტაციების ჩასატარებლად, ხოლო ახლა ელოდებოდნენ ახალ სტრატეგიულ განვითარებას. სილაბუსების მიმართ გაცემული რეკომენდაცია შეიძლება ყოფილიყო რჩევაში იმიტომ, რომ ამის იმპერატიული მოთხოვნა არ არსებობს სტანდარტით. საერთაშორისო ექსპერტმა, მეთიუ კიჩინგმა (Matthew Kitching) აღნიშნა, რომ სტუდენტების რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით პრობლემა გამოიკვეთა ბიბლიოთეკის პერსონალთან გასაუბრების დროს. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა ლაბორატორიები. ასევე გაეცნო სტრატეგიულ გეგმას, რომელშიც ყველაფერი ნათლად არ იყო გაწერილი. შესაბამისად, ამან გამოიწვია ამ მიმართულებით რეკომენდაციის გაცემა. მისი თქმით, ერთი სტუდენტის ინტერვიუს საფუძველზე არ მომხდარა რეკომენდაციის გაცემა. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პერსონალს, რომლის პასუხებში ვერ დაინახა მდგრადი პოლიტიკა შეფასების კუთხით. ექსპერტებმა კონკრეტული პასუხები პრაქტიკის გავლასთან დაკავშირებით ვერ მიიღეს. ასევე მსგავსი შემთხვევა დაფიქსირდა კლინიკური საგნების სწავლებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ყოველივე ამის გათვალისწინებით მოხდა რეკომენდაციების გაცემა. საბჭოს წევრმა, ლევან

მიდოდაშვილმა, კითხვით მიმართა ექსპერტებს. მისი თქმით, შესაბამისობის მიმოხილვაში წარმოდგენილი იყო 4.2 რეკომენდაცია პერსონალთან დაკავშირებით, ხოლო როგორც ქართულენოვანი, ისე ინგლისურენოვანი დასკვნის აღწერით ნაწილში აღნიშნული რეკომენდაცია იყო მოხსენიებული რჩევების ნაწილში. მას აინტერესებდა, რა იყო ამის მიზეზი. ექსპერტმა ია ნაცვლიშვილმა განაცხადა, რომ ეს იყო რეკომენდაცია. მისი თქმით, სამიზნე ნიშნულებისა და დაგეგმვის დროს უნდა გამოიყენებოდეს საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკა. საბჭოს წევრმა, ჯილდა ჭეიშვილმა, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, როგორ ხორციელდებოდა უნივერსიტეტში ხარისხის შეფასების პროცედურები მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამისათვის. ასევე რამდენი პიროვნება იყო ამ პროცესში ჩართული. ასევე თუ იყო ხარისხის დეპარტამენტში პიროვნება, რომელსაც ექნებოდა სამედიცინო განათლება. ჯილდა ჭეიშვილმა, კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა, რამდენად იყო ადამიანური და მატერიალური რესურსით მზად უნივერსიტეტი 2 000 სტუდენტისთვის. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტმა, გიორგი მახარაშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულებას გავლილი აქვს ახალი სტანდარტებით აკრედიტაცია, რაც იმას გულისხმობს, რომ მედიცინის პროგრამა სრულად არის შესაბამისობაში დარგობრივ მახასიათებელთან. მედიცინის სკოლას ჰყავს დასაქმებული ამ მიმართულებით თანამშრომლები. კლინიკურ ნაწილამდე ჯერ არ არის დაწესებულება მისული, თუმცა უნივერსიტეტს აქვს ამ მიმართულებით შემუშავებული დოკუმენტები. ასევე დაწესებულებაში შემუშავებულია ე.წ. „სუპერვაიზერების“ წესი. გარდა ამისა, მედიცინის პროგრამაში დანერგილია სხვადასხვა შეფასების მეთოდი. უნივერსიტეტი ძირითად ხელმძღვანელობს „OSCE“-ით. ამრიგად, მედიცინის სკოლის მიერ ხდება შესაბამისი კადრების დაქირავება, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ გამოცდის ჩატარებას. რა თქმა უნდა, გამოცდის ჩატარების მიზნით მოწყობილია სპეციალური სადგურები. საერთაშორისო ექსპერტმა, მეთიუ კიჩინგმა (Matthew Kitching) აღნიშნა, რომ არ იცოდა რამდენად იყო მზად დაწესებულება ადამიანური და მატერიალური რესურსით 2 000 სტუდენტის მისაღებად.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:50
დასრულების დრო: 15:15

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის 6 წლის ვადით ავტორიზაციის მინიჭების საკითხი, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 5500-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 25
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე - 5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს - შავი

ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს (ს/კ229275405) მიენიჭოს ავტორიზაცია (დაწესებულების სახე - უნივერსიტეტი) 6 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით. სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა დაწესებულებას განესაზღვრა 5500-ით.

აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შედის 2024 წლის 06 დეკემბერს.

საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ: 7.1 და 7.2 ქვე-სტანდარტში რეკომენდაციების შინაარსიდან გამომდინარე შეფასება შეიცვალა ნაცვლად "ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნასთან", როგორც "მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნასთან". ხოლო, 7.4 კომპონენტის რეკომენდაცია გადაიტანა რჩევებში, რამაც გამოიწვის 7.4 ქვე-სტანდარის შეფასების ცვლილება ნაცვლად "მეტწილად შესაბამისობაშია ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებთან" როგორც "შესაბამისობაშია ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნისა".
შესაბამისად საბჭომ მთლიანობაში მე - 7 სტანდარტი შეაფასა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებთან.

რჩევაში გადაიტანა რეკომენდაცია: "რეკომენდებულია უზრუნველყოთ კონკრეტული მიზნების დეტალურად გაწერა უნივერსიტეტის სტრატეგიული დაგეგმვის დოკუმენტებში და მკაფიოდ და პირდაპირ დაკავშირება უნივერსიტეტის ბიუჯეტთან, მათ შორის იმ ნაწილში, რომელიც ინსტიტუციის სამედიცინო უზრუნველყოფას უკავშირდება".

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია უზრუნველყოთ, სტრატეგიული განვითარების გეგმაში წარმოდგენილი იყოს ყოვლისმომცველი და სარწმუნო საშუალებები იმისათვის, რომ მიღწეული იყოს დაწესებულების მიზნები; (1.2)
- რეკომენდებულია გააძლიეროთ სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი და მისგან გამომდინარე სამოქმედო გეგმები, რათა უზრუნველყოთ, რომ აღნიშნული გეგმები მოიცავს სტრატეგიულ მიზნებთან დაკავშირებულ სარწმუნო, კონკრეტულ, დეტალურ და გაზომვად ქმედებებს; (1.2)
- რეკომენდებულია უზრუნველყოთ, რომ დაწესებულების სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია თანხვედრაშია მიზანთან (2.2)
- რეკომენდებულია უზრუნველყოთ, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები თანაბარ აქცენტს აკეთებდეს PDCA (დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - იმოქმედე) ციკლის ფარგლებში დაგეგმილი სამომავლო ქმედებების სარწმუნოობის და საკმარისობის შესწავლაზე; (2.2)
- რეკომენდებულია შეიმუშავოთ სასწავლო კურსის სილაბუსების სისტემატიურად გადახედვის პროცესი, რაც აკადემიურ პერსონალს დაავალდებულებს აკადემიური წლის მანძილზე მინიმუმ ერთხელ მათ განახლებას. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს შინაარსის თანამედროვეობა, რელევანტურობა, დარგის განვითარებად სტანდარტებთან და საგანმანათლებლო საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისობა. (3.1)
- რეკომენდებულია შეიმუშავოთ სტრუქტურირებული უკუკავშირის მექანიზმი, რომელიც სტუდენტებს შესაძლებლობას მისცემს მიიღონ დეტალური ინფორმაცია მათი აკადემიური მოსწრების შესახებ. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს დავალებებზე, შუალედური გამოცდების შედეგებზე და საბოლოო შეფასებებზე პერსონალიზებულ უკუკავშირს, რაც დაეხმარება სტუდენტებს გამოავლინონ გასაუმჯობესებელი სფეროები და ხელი შეუწყონ აზროვნების განვითარებას. (3.3)

- რეკომენდებული უზრუნველყოთ სამართლიანობა და გამჭვირვალობა იმ შემთხვევებში, სადაც დამსაქმებლები მონაწილეობას იღებენ სტუდენტის შეფასების შედეგის განსაზღვრაში. (3.3)
- რეკომენდებულია განაახლოთ აკადემიურ პერსონალთან შრომითი და აფილირების ხელშეკრულებები ახლად დამტკიცებული აფილირების წესის შესაბამისად; (4.1)
- რეკომენდებულია უზრუნველყოთ აკადემიური პერსონალის ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ყველა დონეზე, მმართველ ორგანოებში მათი არჩევის გზით; (4.1)
- რეკომენდებულია უზრუნველყოთ, კლინიკური მეცადინეობების ჩასატარებლად განსაზღვრული იყოს მხოლოდ ის პერსონალი, რომლებსაც გააჩნიათ მინიმუმ 3 წლიანი კლინიკური გამოცდილება რეგისტრაციის შემდგომ; (4.1)
- რეკომენდებულია საგანმანათლებლო პროგრამების მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, გაზარდოთ აფილირებული პერსონალის რაოდენობა როგორც უნივერსიტეტის დონეზე, ასევე "დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამისთვის; (4.1)
- რეკომენდებულია პერსონალის ნიშნულების გაუმჯობესების მიზნით, პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგიებში გაითვალისწინოთ საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკა; (4.2)
- რეკომენდებულია შეიცვალოს სტუდენტთა ომბუდსმენის არჩევის არსებული წესი და ნაცვლად რექტორის მიერ დანიშვნისა, ომბუდსმენი დემოკრატიულად იყოს არჩეული სტუდენტების მიერ; (5.1) რეკომენდებულია გააძლიეროთ სტუდენტთა წარმომადგენლობის ჩართულობა უნივერსიტეტის გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში. (5.1)
- რეკომენდებულია საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის და სწავლის შედეგების მიღწევის უწყვეტად უზრუნველყოფის მიზნით, გააძლიეროთ სიმულაციური ცენტრი და ლაბორატორიები დამატებითი აღჭურვილობით. (7.1)
- რეკომენდებულია 2,000 სამედიცინო სტუდენტის სასწავლო პროცესის სამართავად მკაფიო, სტრუქტურირებული სტრატეგიის შემუშავება. (7.1)
- რეკომენდებულია უზრუნველყოთ სპეციალური სამუშაო და შეხვედრების სივრცეები აკადემიური პერსონალისთვის სასწავლო პროცესისთვის მოსამზადებლად და სტუდენტებთან ინდივიდუალური შეხვედრების და კონსულტაციების ჩასატარებლად.(7.1)
- რეკომენდებულია იმ ოთახებს, რომელთაც არ მიეწოდებათ საკმარისი ბუნებრივი შუქი შეეცვალოთ დანიშნულება, რადგან ისინი არ შეესაბამება საგანმანათლებლო სივრცის სტანდარტებს. (7.1)
- რეკომენდებულია შეიმუშაოვთ ბიბლიოთეკის გაფართოების ყოვლისმომცველი და სარწმუნო გეგმა სტუდენტების რაოდენობის მოსალოდნელი ზრდის გათვალისწინებით (7.2)

რჩევები:

- სასურველია ჩამოაყალიბოთ ფორმალური პოლიტიკა, რომელიც დაარეგულირებს ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას, მათ შორის განსაზღვრავს გამოყენების დასაშვებ ფარგლებს შეფასების პროცესში (2.3)
- სასურველია გააფართოვოთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შესაძლებლობები უფრო მრავალფეროვანი სწავლების გზების და რესურსების ინტეგრირებით. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს ონლაინ მოდულებს, სტაჟირებებს ან პროექტზე დაფუძნებული სწავლის შესაძლებლობებს, რომლებიც მორგებული იქნება სტუდენტების ინტერესებზე და კარიერულ მიზნებზე. (3.1)

- სასურველია ინტერდისციპლინური პროგრამების ან კურსების შექმნის მიზნით წაახალისოთ თანამშრომლობა სხვადასხვა დეპარტამენტს შორის. აღნიშნული დაეხმარება სტუდენტებს შეიძინონ უფრო ფართო ხედვები და განივითარონ ის უნარები, რომლებიც სულ უფრო მეტად ფასობს კომპლექსურ, ურთიერთდაკავშირებულ დასაქმების ბაზარზე. (3.1)
- სასურველია ჩამოაყალიბოთ აკადემიური პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამა, რომელიც ორიენტირებული იქნება ეფექტური შეფასების სტრატეგიებზე და საუკეთესო პრაქტიკაზე. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს ტრენინგებს განმავითარებელი შეფასების ტექნიკებთან, უკუკავშირის მექანიზმებთან და ინოვაციური შეფასების ინსტრუმენტებთან დაკავშირებით, სწავლება -სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით. (3.2)
- სასურველია შექმენათ ონლაინ რესურსების ცენტრი, სადაც სტუდენტებს ექნებათ წვდომა შეფასების კრიტერიუმებთან, შეფასების რუბრიკებთან და მომზადების საუკეთესო პრაქტიკასთან დაკავშირებულ დეტალურ ინფორმაციაზე. აღნიშნული ცენტრი შეიძლება მოიცავდეს შეფასების ნიმუშებს, რჩევებს წარმატების მისაღწევად და ხშირად დასმულ კითხვებს, რაც დაეხმარება სტუდენტებს უკეთ გაიგონ შეფასების პროცესი და მოლოდინები; (3.2)
- სასურველია გაზარდოთ გამჭვირვალობა შეფასების პროცესის დროს მომხმარებელზე მორგებული ონლაინ რესურსის შექმნით, რომელიც ნათლად აღწერს შეფასების ყველა კრიტერიუმს, პროცესებს და ხელმისაწვდომ რესურსებს. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს ვიდეო გაკვეთილებს, ხშირად დასმულ კითხვებს და შემთხვევების განხილვას წარმატებული შეფასებების მაგალითების მიხედვით, რაც სტუდენტებისთვის პროცესს გახდის უფრო გასაგებს; (3.3)
- სასურველია თანამშრომლობითი სწავლის ხელშეწყობის მიზნით, კურსების ფარგლებში დანერგოთ ურთიერთშეფასების შესაძლებლობები. იმისათვის, რომ არა მხოლოდ წაახალისოთ სტუდენტები კრიტიკულად განიხილონ თანატოლთა ნამუშევრები, არამედ გაუმჯობესდეს მათი მიერ შეფასების კრიტერიუმების გაგება და სხვების შეფასების პროცესში საკუთარი უნარების განვითარება; (3.3)
- სასურველია შეიმუშავოთ დაწინაურების უფრო მეტად ამბიციური პოლიტიკა იმ მოთხოვნებთან და მოლოდინებთან დაკავშირებით, რომელსაც იბსუ დაწინაურების მსურველ თანამშრომლებს უყენებს; (4.1)
- სასურველია დახვეწოთ და ნათლად ჩამოაყალიბოთ სტუდენტების უფლებების დაცვის მექანიზმები; (5.1)
- სასურველია გააძლიეროთ კომუნიკაცია და სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდება უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული მხარდამჭერი მექანიზმების და აქტივობების შესახებ. (5.2)
- სასურველია უზრუნველყოთ კონკრეტული მიზნების დეტალურად გაწერა უნივერსიტეტის სტრატეგიული დაგეგმვის დოკუმენტებში და მკაფიოდ და პირდაპირ დაკავშირება უნივერსიტეტის ბიუჯეტთან, მათ შორის იმ ნაწილში, რომელიც ინსტიტუციის სამედიცინო უზრუნველყოფას უკავშირდება. (7.4)

2. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს/მოწვეული საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს/მოწვეული საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს/მოწვეული საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახ ილველ საკითხთან მიმართებით.

საერთაშორისო ექსპერტი, ტერენს კლიფორდ - ამოსი (Terence Clifford-Amos), მიესალმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 17 სექტემბერს. მისი თქმით, როდესაც დაწესებულებას ექსპერტთა ჯგუფმა ანგარიში წარუდგინა, უნივერსიტეტმა ყველა რეკომენდაცია და რჩევა გაიზიარა. შესაბამისად, ანგარიშში ცვლილებები არ განხორციელებულა. შვიდი სტანდარტიდან სამი სტანდარტი სრულად შესაბამისობაში იყო მოთხოვნებთან. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო პირველი სტანდარტი, რომელსაც ჰქონდა ძალიან მნიშვნელოვანი მისია, კერძოდ, მშვიდობის და ზრუნვის სახით. დაწესებულებამ დააარსა „მშვიდობის კვლევითი ცენტრი“. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიაა, რომ აფხაზეთსა და საქართველოს შორის უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობით ჩატეხილი ხიდი აღადგინოს. მეორე სტანდარტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულებას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ეფექტურად მუშაობისთვის დიდი სამსახური აქვს გაწეული და ცდილობს, რომ მუდმივად განვითარდეს, თუმცა კარგი იქნება თუ ეს ყველაფერი ასახული იქნება შესაბამის დოკუმენტებში, რომლებსაც ექნებათ იურიდიული სახე. დაწესებულებაში დანერგვის პროცესშია კოლეგიალური შეფასება, რომელიც მოქმედებს პერსონალს შორის. ასევე ის იმოქმედებს არააკადემიური პერსონალის შეფასებასთან დაკავშირებით, რაც მისასალმებელია. სასურველია, რომ გაიყოს ხარისხის მართვა საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო დონეზე. ამრიგად, მეორე სტანდარტი ძირითადად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მესამე სტანდარტთან დაკავშირებით განმარტა, რომ ეს ეხებოდა კურიკულუმს. მისი თქმით, უნივერსიტეტს ჰყავს 3 000 სტუდენტი. მათ ინტერვიუების დროს გამოთქვეს კმაყოფილება სასწავლო პროცესის მიმართ. როდესაც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო წინა ავტორიზაციის ანგარიშს დაადგინა, რომ იყო რაღაცები, რაც უნივერსიტეტს არ ჰქონდა შესრულებული. შესაბამისად, სასურველი იქნება, რომ დაწესებულებამ უმოკლეს ვადაში გამოასწოროს ყველაფერი. მეოთხე სტანდარტთან დაკავშირებით, რომელიც უკავშირდებოდა პერსონალს, აღნიშნა, რომ სრულად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტის მშვიდ და კეთილმოწყობილ გარემოში სწავლებას. ამ სტანდარტთან დაკავშირებით გაიცა მხოლოდ ორი რჩევა. პირველი ეხებოდა პერსონალის მიერ ინგლისური ენის ცოდნის გაღრმავებას, ხოლო მეორე ეხებოდა უნივერსიტეტის მიერ ახალგაზრდა

მკვლევრების წახალისებას დაწესებულების მდგრადობის მიზნით. მეხუთე სტანდარტი ეხებოდა სტუდენტებს. მისი თქმით, ნებისმიერი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის სტუდენტი უნდა იყოს მთავარი ღირებულება. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის ის დაწესებულება, რომელიც ძალიან ზრუნავს საკუთარ სტუდენტებზე და ნებისმიერ საკითხში მათ გულშემატკივრობს. ინტერვიუების დროს ყველა სტუდენტი იყო ბედნიერი და თითოეულმა მათგანმა გამოხატა დაწესებულების მიმართ პატივისცემა. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა წახალისების მექანიზმი. მისი თქმით, პროგრამებზე მისაღები წინაპირობა არის უცხო ენის ფლობა B2 დონეზე, თუმცა გასაუბრების დროს აღმოჩნდა, რომ სტუდენტების ნაწილის ინგლისური ენის ცოდნის დონე ყოველთვის არ იყო B2 დონე. შესაბამისად, სასურველია ენობრივი უნარების უფრო დახვეწა და სტუდენტებისათვის უცხო ენის ცოდნის დონის ამაღლება. მეექვსე სტანდარტი, რომელიც ეხებოდა კვლევითი სამუშაოების ჩატარებას, სრულად შესაბამისობაშია. მისი თქმით, უნივერსიტეტის პერსონალი და სტუდენტები კმაყოფილი იყვნენ თავიანთი კვლევითი უნარების განვითარების დონით როგორც სახელმწიფო, ისე საერთაშორისო დონეზე. ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა ერთი სტატიის გამოქვეყნების მოთხოვნას საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში მანამ, სანამ სტუდენტები სადოქტორო სწავლებას დაამთავრებდნენ. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ დაწესებულებაში ვითარდება სხვადასხვა პროექტები. შემოსავალი უმჯობესდება და კვლევითი ნაწილიც განვითარების პროცესშია. დაწესებულება ცდილობს, რომ მოიზიდოს სხვადასხვა პარტნიორები საერთაშორისო ბაზარზე პროგრამების განვითარების მიზნით. მეშვიდე სტანდარტი, რომელიც უკავშირდებოდა მატერიალურ რესურსებს, აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა ერთხმად გადაწყვიტეს უნივერსიტეტის შესაბამისობის საკითხი გაწერილ კვოტასთან. დაწესებულების მოთხოვნა არის 4 500 სტუდენტი. მისი თქმით, სტუდენტთა კვოტის გაზრდა უნდა მოხდეს თანდათანობით, ეტაპობრივად. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის შენობა და სასწავლო ოთახები განვითარების პროცესშია, თუმცა კარგი იქნება თუ დაწესებულება მეტ ყურადღებას მიაქცევს 26 ნომერში (მეორე შენობა) არსებულ შენობას და ბიბლიოთეკას, რომელსაც სჭირდება რემონტი. რაც შეეხება ფასადებს, ორივე კორპუსის ფასადს სჭირდება სარემონტო სამუშაოების ჩატარება, რათა დაემსგავსოს უნივერსიტეტის რეალურ შესასვლელს. საინფორმაციო ტექნოლოგიები დაწესებულებაში განვითარების პროცესშია, თუმცა დაინტერესებულ მხარეებს სურთ, რომ უფრო მეტი აქცენტი გაკეთდეს ბოლოდროინდელ ტექნოლოგიურ განვითარებებზე და მიღწევებზე. ასევე მოხდეს მათი გაციფრულება. ამის შესაბამისად, კარგი იქნება თუ უნივერსიტეტი მოიპოვებს „ფიბას“ სერტიფიცირებულ აღიარებას. საერთო საცხოვრებელ სივრცეებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უნივერსიტეტს არ გააჩნია ჯერჯერობით, თუმცა ამის თაობაზე არის მოლაპარაკებები დაწყებული შესაბამის მხარეებთან. მისი თქმით, უნივერსიტეტში ფინანსების ნაწილი განვითარების პროცესშია, თუმცა რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა აიყვანოს გარე აუდიტი მიუხედავად იმისა, რომ მას ჰყავს შიდა აუდიტი. ამრიგად, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს მოცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით არგუმენტირებული პოზიცია არ გაუკეთებია. ექსპერტთა ჯგუფი მიესალმება მის ასეთ პოზიციას, რადგან ეს ნიშნავს იმას, რომ დაწესებულება ყველა რეკომენდაციას იზიარებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, ზურაბ ხონელიძე, მიესალმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, დაწესებულებას არ აქვს განსხვავებული პოზიცია იმ რეკომენდაციებზე, რომლებიც ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ტერენს კლიფორდ - ამოსი (Terence Clifford-Amos), იყო კეთილგანწყობილი როგორც დაწესებულების, ისე საქართველოს მიმართ. ეს უნივერსიტეტი მან აღიქვა როგორც

განსხვავებული და განსაკუთერბული მოვლენა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შემდეგ გასულია გარკვეული დრო. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ან დასრულებულია, ან დასრულების პროცესშია. სტდენტთა საერთო საცხოვრებელთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სახელმწიფოს დამოკიდებულება ამ საკითხთან დაკავშირებით როგორი არის ყველამ იცის. შესაბამისად, როდესაც დასრულდება კამპუსის მშენებლობა, უნივერსიტეტს უსასყიდლოდ ექნება საკუთარი ადგილები ერთიან სტუდენტურ ქალაქში. დაწესებულებამ 2018 წელს გაიარა ავტორიზაცია. 2018 წლის შემდეგ პიველი კორპუსს ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები, რომლებიც დღეს მთლიანად დასრულებულია. შეიცვალა შემოსასვლელი. გაჩნდა თავისუფალი სივრცეები. ასევე შეიცვალა როგორც მატერიალურური, ისე ელექტორნული სახით ბიბლიოთეკა. მეორე კორპუსში დარჩენილია მხოლოდ სართულ ნახევრის სარემონტო სამუშაოები. ასევე მესამე და მეშვიდე სართული მთლიანად, ხოლო მესამე სართულის ნაწილი საჭიროებს რემონტს. აღნიშნული სართულების რემონტი ახლაც მიმდინარეობს. მოთხოვნილი კვოტა არის ის მწირი რაოდენობა სტუდენტების, რომლებიც ამ ეტაპზე შეუძლია დაწესებულებამ მიიღოს. მან აღნიშნა, რომ სპორტის აკადემია უნივერსიტეტში აღარ ფუნქციონირებდა. შესაბამისად, ეს იყო კიდევ ერთი ფაქტორი იმისა თუ რატომ შეეძლო დაწესებულებას 4 500 სტუდენტამდე კვოტის გაზრდა. ზურაბ ხონელიძემ განაცხადა, რომ უცხო ენასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთქმულ შენიშვნას უნივერსიტეტი იზიარებდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

დაწყების დრო: 15:45
დასრულების დრო: 16:00

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის 6 წლის ვადით ავტორიზაციის მინიჭების საკითხი, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით და სტუდენთა ზღვრული რაოდენობის 4500-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე: 12
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე - 5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს (ს/კ 205224700) მიენიჭოს ავტორიზაცია (დაწესებულების სახე - უნივერსიტეტი) 6 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით. სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა დაწესებულებას განესაზღვრა 4500-ით.

აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შედის 2024 წლის 06 დეკემბერს.

საბჭომ სრულიად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია გაიყოს "პერსონალის მართვის პოლიტიკის ზოგადი პრინციპების" დოკუმენტი უნივერსიტეტის და ფაკულტეტის დონის მექანიზმებად;მექანიზმები (ზემოაღნიშნული) უნდა ჩამოყალიბდეს უფრო ძლიერი საერთაშორისო ორიენტაციით; თითოეულ მექანიზმთან მიმართებაში უნდა განისაზღვროს ძირითადი ინდიკატორები. მაგალითად: მექანიზმი: მასწავლებლების, მეცნიერების და ადმინისტრაციული პერსონალის ჩართვა გაცვლით პროგრამებში. შეფასების ინდიკატორი: გაცვლითი პროგრამების რაოდენობა, რომელშიც ჩართული იყვნენ მასწავლებლები, მეცნიერები და ადმინისტრაციული პერსონალი. (კომპონენტი 2.1);
- რეკომენდებულია, 2018 წლის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი "ხარისხის უზრუნველყოფის შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები", რომელიც მოიცავს ხარისხის უზრუნველყოფის მნიშვნელოვან მახასიათებლებს, გადაიხედოს როგორც ეს აღწერილია 2.2 კომპონენტის ძირითად ტექსტში.
- რეკომენდებულია, არსებობდეს გარკვეული კავშირი ზემოაღნიშნულ "ხარისხის უზრუნველყოფის შესაძლებლობების შეფასების მექანიზმების" დოკუმენტს და "სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის და სამიზნე ნიშნულების მექანიზმის" დოკუმენტს შორის;
- რეკომენდებულია, არსებული "გარე" ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების აღწერა და განვითარება იმის უზრუნველსაყოფად, რომ შიდა და გარე მექანიზმები ყოველთვის ორიენტირებული იყოს განვითარებაზე;
- რეკომენდებულია, წარმოდგენილი იყოს ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურების უფრო კონკრეტული დეტალები, მათ შორის კითხვარების ანალიზი, პროცესის სიხშირე, უკუკავშირი, წლიური ანგარიშგება, ციკლის დახურვის რამდენიმე მაგალითი და ასევე იმ ციკლების მაგალითები, რომლებიც არ იხურება ხარისხის უზრუნველყოფის კარგი მიზეზებიდან გამომდინარე;
- რეკომენდებულია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გაითვალისწინოს ინდივიდუალური კოლეგიალური შეფასების პრაქტიკის გაგრძელება და განვითარება და მისი გავრცელება და განვითარება ადმინისტრაციული პერსონალისთვის. (კომპონენტი 2.2);
- სასწავლო გეგმასთან დაკავშირებით, რეკომენდებულია საგანმანათლებლო პროგრამები შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და განვითარების მეთოდოლოგიას და პირველ დანართთან ერთად მოიცავდეს მეორე და მესამე დანართებს. უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი უფრო ეფექტურად უნდა იყოს გამოყენებული საგანმანათლებლო პროგრამების კონკრეტული სწავლის შედეგების შესაფასებლად.
- რეკომენდებულია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ შეასრულოს 2018 წლის ავტორიზაციის დროს გაცემული მითითებები და შეიმუშაოს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების და განვითარების ერთიანი პოლიტიკის დოკუმენტი.
- ვინაიდან სტუდენტების ენობრივი კომპეტენცია დაბალია და ხშირ შემთხვევაში არ შეესაბამება B2 დონეს, რაც წარმოადგენს მიღების ფორმალურ მოთხოვნას, რეკომენდებულია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა რაც შეიძლება სწრაფად გადაჭრას აღნიშნული საკითხი. (კომპონენტი 5.1);

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს პრაქტიკული სწავლება სტუდენტების პრაქტიკული გამოცდილების გასაუმჯობესებლად და კარიერული განვითარებისთვის საჭირო უნარებით აღჭურვის მიზნით (კომპონენტი 5.2);
- რეკომენდებულია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უზრუნველყოს, 2025 წლის იანვრის დასაწყისისთვის შიდა სართულების რემონტის დასრულება და გააგრძელოს შემდგომი მუშაობა შეზღუდული შესაძლებლობებისა და განსაკუთრებული საჭიროებების მქონე სტუდენტების პირობების შესაქმენლად, აღნიშნული კატეგორიის სტუდენტების მოზდივის უნივერსიტეტის მზარდი ინტერესის შესაბამისად. რეკომენდებულია, რაც შეიძლება სწრაფად გაიზარდოს სტუდენტებისთვის განკუთვნილი სხვადასხვა სივრცეები. (კომპონენტი 7.1);
- სასურველია, საბიბლიოთეკო ინფრასტრუქტურაში ინვესტირების განხორციელება. უნივერსიტეტმა უნდა განაგრძოს საბიბლიოთეკო ინფრასტრუქტურის განვითარებისაკენ მიმართული ძალისხმევა, განსაკუთრებით სივრცის გაფართოებისა და სწავლისა და კვლევისათვის საჭირო ინტრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით. (კომპონენტი 7.2);
- რეკომენდებულია, განვითარდეს ციფრული განათლების უმაღლესი სტანდარტები, იმისათვის, რომ სტუდენტები ფლობდნენ თანამედროვე ტექნოლოგიებს, რისი მოლოდინიც საკმაოდ მაღალია დამსაქმებლების მხრიდან. აღნიშნული უნდა მოიცავდეს: გაძლიერებულ საინფორმაციო ტექნოლოგიებს, სმარტ მაგიდებს და უმაღლესი დონის ციფრული ტექნოლოგიების სწავლებას (კომპონენტი 7.3);
- რეკომენდებულია სსუმ დანიშნოს გარე ფინანსური აუდიტორი. (კომპონენტი 7.4).

რჩევები:

- სასურველია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტუდენტების ჩართულობა ახალი პროგრამების შემუშავების პროცესში. აღნიშნულ პროცესში უკვე მონაწილეობენ კურსდამთავრებულები. კომპონენტი 2.1;
- მიუხედავად იმისა, რომ ეთიკის კომისია იშვიათად იკრიბება, კომისიამ უნდა გაითვალისწინოს ყოველწლიური ანგარიშის მომზადება თემაზე "ეთიკის ზოგადი ტენდენციები ევროპულ უმაღლეს განათლებაში" ან მსგავს თემაზე, იმისათვის, რომ ეთიკის კომისია იყოს აქტიური და პროაქტიული უნივერსიტეტის პერსონალის თვალში. (კომპონენტი 2.3);
- სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს მოწვეული ახალგაზრდა პერსონალის - სხვა უნივერსიტეტებთან არააფილირებული პერსონალის დაწინაურების მოქნილი მექანიზმი, გააგრძელოს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარება და ხელი შეუწყოს პარტნიორობებს უფრო ფართო, მდგრადი სტრატეგიის ფარგლებში;
- გამომდინარე იქიდან, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის დიდი ნაწილი არ საუბრობს ინგლისურ ენაზე, სასურველია მათი მომზადება და გადამზადება, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ დაწესებულება გეგმავს მეტი საერთაშორისო პროექტის და პროგრამის განხორციელებას. (კომპონენტი 4.1);
- სასურველია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ყველა ხელშეკრულებაში ასახოს აფილირების პირობები და აკადემიური პერსონალის გარე დატვირთვის მონიტორინგის მიზნით გამოიყენოს უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა და შიდა მონიტორინგის მექანიზმები. (კომპონენტი 4.2);
- ყველა დოქტორანტისთვის - აუცილებელია მინიმუმ ერთი სტატიის გამოქვეყნება ისეთ ჟურნალში, რომელიც ინდექსირებულია Web of Science (Clarivate Analytics), ERIH PLUS (ჰუმანიტარული მეცნიერებების ევროპული რეფერენსირების ინდექსი) ან Scopus - ის მონაცემთა ბაზებში, რომელმაც უნდა დაადგინოს კვლევითი სტატიების შემუშავების მაღალი სტანდარტები და ხელი შეუწყოს კვლევის ხარისხის შემდგომ გაუმჯობესებას. (კომპონენტი 6.1);

- სასურველია, გაუმჯობესდეს ორივე შენობის ფასადი, იმისათვის, რომ ისინი უფრო მეტად შეესაბამებოდნენ უნივერსიტეტის სტატუსის მქონე დაწესებულებებს, ასევე სასურველია, სოხუმის სახელწმიფო უნივერსიტეტმა ფოიეებში უზრუნველყოს მიმზიდველი და პროფესიონალური ზოგადი მისაღები სივრცეები. (კომპონენტი 7.1);
- სასურველია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მოწინავე ციფრული განათლების მიღწევის საშუალებად, განიხილოს საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის და განვითარების პოლიტიკის და პროცედურების (დანართი 7.8) ორგანიზება FIBAA -ს (საერთაშორისო ბიზნესის ადმინისტრირების აკრედიტაციის ფონდი) 5 სტანდარტის გათვალისწინებით: გაციფრულების სტრატეგია, პერსონალის უზრუნველყოფა, ტექნოლოგია, დიდაქტიკური სტრატეგია და ხარისხის უზრუნველყოფა. სასურველია, მიმდინარე ავტორიზაციის შუა პერიოდისთვის უნივერსიტეტმა დაგეგმოს FIBAA - ს ხარისხის მოწმობის "სრულყოფილება ციფრულ განათლებაში" მოპოვების მიზნით განაცხადის გაკეთება. (კომპონენტი 7.3);
- სასურველია, სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის გეგმების გათვალისწინებით, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გააორმაგოს ძალისხმევა დაფინანსების მოსაძიებლად. (კომპონენტი 7.4).

საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2024 წლის 06 დეკემბერს, 16:00საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ლეშკაშელი დავითი

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
თავმჯდომარის მოადგილე
ორჯონიკიძე ზურაბ